



შპს საქართველოს მხარე
ნარკოტიკების მართვის კომპანია



საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ყოველწლიური ანგარიში - 2018



პროფესიული უსაფრთხოების ახალი სტანდარტები



გიორგი მუხოზგელი
საქართველოს მყარი ნარჩენების
მართვის კომპანიის დირექტორი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნაზე ზრუნავს. „ჩვენი კომპანიის სტრატეგია, ქვეყანაში ნარჩენების მართვის ახალი, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სისტემის დანერგვა, ნაგავსაყრელების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად მართვა და კომპანიის თანამშრომელთა შრომით უსაფრთხოებასა და პროფესიულ კვალიფიკაციაზე უწყვეტ რეჟიმში ზრუნვაა.“ პოტენციური საფრთხეებისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, კომპანიამ რისკების პრევენციის სტრატეგია და შემარბილებელი ღონისძიებების მექანიზმები შეიმუშავა.

2017 წლიდან, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ 200-ზე მეტი თანამშრომლისთვის შრომითი უსაფრთხოების ახალი სტანდარტების დანერგვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება დაიწყო, კომპანიის მფლობელობაში არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების უსაფრთხოდ მართვის მიზნით.

მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე, გადამტვირთავ სადგურებსა და ნარჩენების დამახარისხებელ საამქროში, ინციდენტების პრევენციისა და შემარბილებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვის მიზნით, შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, სპეციალისტების მიერ, შეფასდა და გამოვლინდა რისკები. პოტენციური საფრთხეების, არსებული პირობების შეფასებისა და ექსპერტების კონსულტაციის საფუძველზე, კომპანიამ, შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ახალი პოლიტიკა (OHS) და გარემოსდაცვითი მართვის სისტემა (EMS) შემუშავების პროცესშია და მთავარი მიზანი მათი საერთაშორისო (ISO) სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა. აღნიშნული ვალდებულება გაწერილია პოლიტიკის დოკუმენტში რომელიც კომპანიის შიდა ინსტრუქციების ნაწილია.

შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მართვის სისტემების საფუძველზე, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, ვალდებულებას იღებს, ნაგავსაყრელების მართვისას უზრუნველყოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მექანიზმების გატარება მის მმართველობაში არსებულ ყველა ნაგავსაყრელზე. აღნიშნული პოლიტიკა და ზომები მიზნად ისახავს როგორც ნაგავსაყრელების თანამშრომლების უსაფრთხოებისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას, ისე გარემოზე უარყოფითი გავლენის მინიმუმადე დაყვანას.

გარემოს დაცვისა და შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (სმმკ) დაარსდა 2012 წელს. კომპანიის მთავარი მიზნებია: ძველი, ღია ტიპის ნაგავსაყრელებისა და პოლიგონების დასუფთავება და რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში მათი დახურვა, სატრანსფერო სადგურების შექმნა, ახალი რეგიონული ნაგავსაყრელისა და სატრანსფერო სადგურების მშენებლობა და ამ გზით, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბება, რომელიც ეფუძნება რეგიონულ მიდგომას. სმმკ მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტებს ნარჩენების მართვისა და სეპარირებული შეგროვების მომავალი სტანდარტების დაკმაყოფილებაში.

სმმკ არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არაკომერციული იურიდიული პირი. კომპანია მდებარეობს თბილისში და დასაქმებული ჰყავს 250-ზე მეტი ადამიანი. ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულების შემდეგ, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება, რათა მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო ოპერირების მოთხოვნები იქნას დაკმაყოფილებული.

ნაგავსაყრელების მართვის ხარისხს ჩვენს საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა ნარჩენების შესაძლო გვერდითი ეფექტებისგან დავიცვათ ქვეყნის ბუნებრივი გარემო და სასმელი წყალი, აგრეთვე კომპანიის თანამშრომელთა და საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა.

ხარისხის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანია საკუთარ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, აყალიბებს გარემოს დაცვის მართვის (EMS) და შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის (OHS) სისტემებს, ISO 14001 და BS 18001 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული მართვის სისტემები ვრცელდება ყველა ნაგავსაყრელზე - როგორც ძველზე, ისე ახლებზე; აგრეთვე, რეგიონულ და სათაო ოფისებზე. ამასთანავე, მართვის სისტემები ვრცელდება კომპანიის ტერიტორიაზე მომუშავე ყველა კონტრაქტორსა თუ მესამე მხარეზე.

უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მინიჭებული ვალდებულება და უფლებამოსილება:

- a) უზრუნველყოფა იმისა, რომ საოპერაციო პროცედურები და მართვის სისტემები დოკუმენტის სახით არის გაწერილი, ვრცელდება მთელს ორგანიზაციაში და დაგეგმილ შედეგებს იძლევა. ამასთანავე წარმოადგენს შესრულების მაჩვენებელს და მუშაობის გაუმჯობესების მექანიზმს;
- b) კანონმდებლობის შესაბამისად ოპერირების უზრუნველყოფა;
- c) უზრუნველყოფა იმისა, რომ ორგანიზაცია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს შესრულების მაჩვენებელი;
- d) უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა თანამშრომელმა კარგად იცის EMS და OHS პრინციპები, გაწვრთნილია და მოვალეობებს ასრულებს ამ პრინციპების შესაბამისად;
- e) უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ორგანიზაციაში EMS და OHS საკითხებზე ყურადღების გამახვილებას;
- f) უზრუნველყოფს მართვის სისტემების ერთიანობის შენარჩუნებას, როდესაც ამ სისტემაში ცვლილებები იგეგმება და ხორციელდება;
- g) უზრუნველყოფს რესურსების (მათ შორის ადამიანური რესურსების, სპეციალიზებული ცოდნის, აგრეთვე ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიისა და ფინანსური

რესურსების) ხელმისაწვდომობას, რაც აუცილებელია EMS და OHS მართვის სისტემების შექმნის, დანერგვის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის;

- h) განსაზღვრავს როლებს, ანაწილებს მოვალეობას და ანგარიშვალდებულებას, ახდენს უფლებების დელეგირებას EMS-ისა და OHS-ის ეფექტური მართვის ხელშეწყობის მიზნით;
- i) როლები, მოვალეობები, უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულება უნდა იყოს გაწერილი და გაზიარებული.

კომპანია დანიშნავს ხელმძღვანელობის წევრ(ებ)ს, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტულად EMS და OHS საკითხებზე განურჩევლად მისი სხვა მოვალეობებისა და გააჩნია განსაზღვრული როლი და უფლებამოსილება:


- a) უზრუნველყოფს EMS და OHS მართვის სისტემების ჩამოყალიბებას, დანერგვას და შენარჩუნებას ISO და OHSAS სტანდარტების შესაბამისად;
- b) უზრუნველყოფს EMS და OHS მართვის სისტემებთან დაკავშირებული შესრულების ანგარიშების განსახილველად წარდგენას ხელმძღვანელობასთან და აღნიშნული სისტემების გასაუმჯობესებლად მათ გამოყენებას.

მართვის სისტემებთან დაკავშირებულ შესრულების ანგარიშებს უმაღლესი ხელმძღვანელობა წარუდგენს თანამშრომლებს, სამინისტროებს და აგრეთვე საზოგადოებას.

EMS და OHS-თან დაკავშირებული ყველა შიდა პროცედურა რეგულარულად განახლდება და გატარდება ხარისხის მართვის სახელმძღვანელოში, რომელიც ყველა თანამშრომლისთვის არის ხელმისაწვდომი.

აღნიშნული პოლიტიკა გამოქვეყნებულია კომპანიაში და განთავსებულია თანამშრომელთა სახელმძღვანელოში.

გენერალურ დირექტორს ენიჭება საბოლოო პასუხისმგებლობა EMS და OHS სისტემებთან დაკავშირებით; ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და ვალდებულია დაიცვას ინსტრუქციები და პროცედურები, რათა ხელი შეუწყოს კომპანიაში EMS და OHS მართვის სისტემების დანერგვას.

ხელმოწერა: 
გიორგი შუხოშვილი

თანამდებობა: დირექტორი

პირველი ვერსიის თარიღი:4 აპრილი 2017

საბოლოო ვერსიის თარიღი:24 მაისი 2019

შესავალი

ნარჩენების მართვა კომპლექსური სისტემაა, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება. თითოეული კომპონენტი კი სპეციფიურ ცოდნას, კვალიფიკაციასა და მართვის უნარებს საჭიროებს მასში ჩართული ადამიანებისგან. ნარჩენების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ნარჩენების განთავსება წარმოადგენს, რომლის ძირითადი მიზანი, ნარჩენების ბუნებრივი და სოციალური გარემოსათვის უსაფრთხოდ განთავსების უზრუნველყოფაა.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

2012 წელს, ახალ საკანონმდებლო ჩარჩოზე დაყრდნობით, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია შეიქმნა, რომლის მფლობელიც საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროა. კომპანიის მთავარ ამოცანად საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება განისაზღვრა.

2013 წლიდან შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მფლობელობაში მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული 54 მუნიციპალური ნაგავსაყრელი გადაეცა (ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). აღნიშნული მოვლენა დიდ გამოწვევას წარმოადგენდა კომპანიისთვის, რადგან, ფაქტობრივად, ყველა ნაგავსაყრელი ნორმებისა და წესების დაცვის გარეშე ფუნქციონირებდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ზიანდებოდა გარემო და საფრთხე ექმნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას. კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი აღნიშნულ გამოწვევას და შედეგად გაუმჯობესდა ათასობით ადამიანის საცხოვრებელი პირობები, რომლებსაც აქამდე ნაგავსაყრელიდან წამოსული არასასიამოვნო სუნი, ნარჩენების წვისგან წარმოქმნილი კვამლი და ქარისგან მიმოფანტული ნარჩენი აწუხებდათ. კომპანიის მიერ კეთილმოწყობილმა ნაგავსაყრელებმა მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოზე მავნე ზემოქმედება და უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების ხარისხის გაუმჯობესება.

მიღწევები



რისთვის არის საჭირო და რას განსაზღვრავს შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დოკუმენტი

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა ნაგავსაყრელების უსაფრთხო მართვის საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკაზეა დაფუძნებული, რაც უზრუნველყოფს ნაგავსაყრელზე დასაქმებულ პირთა დაცვას უარყოფითი ან სახიფათო ზემოქმედებისგან.

2017 წელს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული საწყისი ნაბიჯები გადადგა და შეიმუშავა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დოკუმენტი და მართვის სისტემის არსებითი/ძირითადი მონახაზი.

კომპანიის მიერ მომზადებული დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- ფუნქციები, მენეჯმენტის წარმომადგენლებიდან ინდივიდუალური მუშის ჩათვლით
- მონიტორინგის მექანიზმები/ვადები
- პოტენციური რისკების შეფასება და საფრთხეების იდენტიფიკაცია
- ნაგავსაყრელზე, გადამტვირთავ სადგურებსა და კომპანიის სხვა დაწესებულებების ტერიტორიაზე განსახორციელებელი ღონისძიებები
- პასუხისმგებელი პირები
- პერიოდული გარე მონიტორინგი ინსპექტორების მექანიზმები (ჯანდაცვის შრომის ინსპექტორების მიერ)
- კომპანიის ნაგავსაყრელზე, გადამტვირთ სადგურებსა და სხვა დაწესებულებებში შესაბამისი აღჭურვილობისა და გარემოს არსებობის უზრუნველყოფა
- კომპანიის ნაგავსაყრელზე დასაქმებული პირებისთვის შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პერსონალური დაცვის აღჭურვილობის არსებობის და მისი გამოყენების უზრუნველყოფა
- ნაგავსაყრელზე დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა /პერიოდული გადამზადება


აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს კომპანიის მუშაობის ხარისხის კონტროლსა და გაუმჯობესებას რათა დაცული იყოს ნაგავსაყრელზე და გადამტვირთავ სადგურზე დასაქმებული პირების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემა თავის თავში მოიცავს ანალიზის და საჭიროების შემთხვევაში, თავად სისტემის გაუმჯობესების ვალდებულებასაც. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად ეს ყოველწლიური ციკლური პროცესი უნდა იყოს და აღნიშნული ციკლის 2-ჯერ ან 3-ჯერ გავლის შემდეგ, მყარი ნარჩენების მართვის კომპანია მიზნად ისახავს შრომითი

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის სერტიფიცირებას აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ.

შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემა

აღნიშნული სისტემის შექმნის პირველი ეტაპისთვის ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში დაინიშნა შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OHS) პოლიტიკის უფროსი კოორდინატორი.



OHS უფროსი კოორდინატორი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც „ობობა ქსელში“. უფროსი კოორდინატორი აძლევს ინსტრუქციებს OHS კოორდინატორებს რეგიონულ ოფისებში,

ნაგავსაყრელის მენეჯერს და თითოეული ნაგავსაყრელის თანამშრომელს, იღებს ინფორმაციას ინციდენტების შესახებ, აზიარებს გამოცდილებას ნაგავსაყრელების მმართველებს შორის, ატარებს ტრენინგებს და აბარებს ანგარიშს დირექტორს. ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს შესაბამისობას. დირექტორი ეხმარება OHS უფროს კოორდინატორს და ანგარიშვალდებულია, როგორც რეგიონული განვითარების სამინისტროსთან, ასევე საზოგადოებასთან.

სამომავლოთ კომპანია გეგმავს შესაბამისობაში მოიყვანოს როგორც ახლად მიღებულ შრომის კანონშია მოთხოვნილი და რომელიც შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ცალკე სამსახურის შექმნას გულისხმობს, რაც ასევე კომპანიის მიერ მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტთანაც თანხვედრაშია. შრომის უსაფრთხოების არსებული მართვის სისტემის სტრუქტურაც, შესაძლებელია გადახედილი იყოს რაც ისედაც საერთაშორისო პრაქტიკაშია მიღებული დაგეგმე ადასრულე შეამოწმე და გააუმჯობესე. აგრეთვე შესაძლებელია ახალი მართვის სისტემის სტრუქტურა მოიცავდეს გარემოსდაცვით მართვას და ხარისხის მართვას.

2018 წელს შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მიმართულებით მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მიერ განხორციელებული სამუშაოების ზოგადი მიმოხილვა

შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დოკუმენტში არსებული მოთხოვნების საფუძველზე, 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ გაწერილ ვადებში, განახორციელა სხვადასხვა ტიპის სამუშაო, რომელიც მიზნად ისახავდა მის მფლობელობაში არსებულ 54 მუნიციპალურ ნაგავსაყრელსა (რომლებიდანაც 31 ამჟამად ოპერირებს/ფუნქციონირებს) და 5 გადამტვირთ სადგურზე არსებული გარემო-პირობების გაუმჯობესებას, როგორც ნაგავსაყრელებზე მომუშავე პირთათვის ასევე მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად.

2018 წელს, დადგენილ ვადებში, კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა მოქმედი ობიექტის შიდა და გარე მონიტორინგი განხორციელდა, ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეფასების მიზნით.

გეგმიურად განხორციელებული შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზები და რეკომენდაციები კომპანიის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული.

შესრულებული სამუშაოს შიდა მონიტორინგი
მონიტორინგის დოკუმენტი დეტალურად მოიცავს შემდეგი სახის დეტალურ ინფორმაციას:

- ობიექტების ჩამონათვალი

- განხორციელებული მონიტორინგის სახეობა/ტიპი
- რისკებისა შეფასება და საფრთხეები იდენტიფიკაცია
- ინციდენტების და შემთხვევების წლიური აღრიცხვის ცხრილი
- განხორციელებული ტრენინგები ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე მომუშავე პირთათვის
- განსახორციელებელი სამუშაოები/რეკომენდაციები



გარე მონიტორინგი/ ინსპექტირება

კომპანიის ინიციატივით, მოქმედ სამ ნაგავსაყრელზე და ერთ გადამტვირთავ სადგურზე ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის წარმომადგენლებმა, განახორციელეს ინსპექტირება და წარმოადგინეს შესაბამისი რეკომენდაციები კომპანიაში შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად, რომელიც კომპანიამ გაითვალისწინა და განახორციელა.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია მომავალშიც მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციასთან, ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე მომუშავე პირთა მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი შრომითი პირობების შექმნის მიზნით.

შიდა და გარე მონიტორინგის საფუძველზე განხორციელებული სამუშაოები

ობიექტზე გატარებული ღონისძიება

	ღონისძიებები	მდებარეობა	
1	ქ.რუსთავის ნაგავსაყრელის დახარისხების საამქროში დამონტაჟდა სავენტილაციო და გათბობა/გაგრილების სისტემა	ქ. რუსთავის ნაგავსაყრელი	
2.	ქ.რუსთავის ნაგავსაყრელზე არსებული სახელოსნოსთვის კომპანიამ შეიძინა სპეცტექნიკის საბურავების მოსახსნელი კომპრესორი შესაბამისი კომპლექტაციით, საბურავის	ქ. რუსთავის ნაგავსაყრელი	

	<p>დაშლა/აწყოების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.</p>		
<p>3.</p>	<p>კომპანიამ შეიძინა გაზის საზომი აპარატი (დრაგერ x-am 7000) რომლითაც შესაძლებელი იქნება ჰაერში 4 ტიპის (მეთანი-CH₄, წყალბადი-H₂, ჟანგბადი-O₂, ნახშიროჟანგი-CO₂, გოგირდწყალბადი-H₂S) გაზის შემცველობის შემოწმება დახურულ სივრცეში;</p>	<p>კომპანიის ყველა ობიექტისთვის</p>	
<p>4.</p>	<p>კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა სპეცტექნიკა აღიჭურვა სასიგნალო ციმციმა მოწყობილობით.</p>	<p>კომპანიაში არსებული ყველა სპეცტექნიკა (39 ერთეული)</p>	
<p>5.</p>	<p>დამცავი ღობე გაკეთდა ნაჟური წყლის რეზერვუარის, ავტოგასამართი სადგურის სამარაგე ავზის გარშემო და დამცავი ჯებირები მოეწყო სასწორზე, ასევე ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარზე დამონტაჟდა საჰაერო მილები.</p>	<p>რუსთავის ნაგავსაყრელი</p>	

თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ მიმართული ღონისძიებები

- ✓ დანიშნული შრომითი უსაფრთხოების უფროსი კოორდინატორი
- ✓ პერსონალური დაცვის აღჭურვილობა ხელმისაწვდომია ყველა ნაგავსაყრელზე
- ✓ კომპანიის ობიექტებზე დასაქმებული თანამშრომლების სიცოცხლის დაზღვევით უზრუნველყოფა (როდესაც საკანონმდებლო რეგულაციები შევა ძალაში).
- ✓ შემუშავდა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ვრცელი ინსტრუქციები კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთი სადგურის თანამშრომლებისთვის (ოპერატორი, დამხარისხებელი, სპეცტექნიკის მძღოლი, ელექტრიკოსი, ასევე შემუშავებულია სიმაღლეზე და დახურულ სივრცეში მომუშავე პირთათვის ქცევის წესები).
- ✓ კომპანიამ სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მხარდაჭერით, მოამზადა ქ.რუსთავის ნაგავსაყრელის საევაკუაციო გეგმა, ნაგავსაყრელი ასევე აღიჭურვა გეგმის თანახმად საჭირო გამაფრთხილებელი ნიშნებით, ასევე განაახლა სახანძრო ფარი, არსებული სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად;
- ✓ კომპანიამ წლის განმავლობაში უზრუნველყო სამუშაო სივრცეში უბედური და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება


შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და მისი ყოველდღიურ სამუშაო პროცესში ინტეგრაციაზე ორიენტირებული ღონისძიებები

- ✓ კომპანიამ შეიმუშავა და დაამტკიცა შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსტრუქციების შიდა სახელმძღვანელო კომპანიის საკუთრებაში არსებული ყველა ნაგავსაყრელის და გადამტვირთი სადგურის თანამშრომლისთვის (ოპერატორი, დამხარისხებელი, სპეცტექნიკის მძღოლი, ელექტრიკოსი).
- ✓ კომპანიამ უზრუნველყო კანონით დადგენილი მოთხოვნა შრომის უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პირის შესაბამისი პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მიღების შესახებ და კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა კოორდინატორმა შრომის უსაფრთხოების კუთხით (OHS მენეჯერი) და რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსმა სპეციალისტმა წარმატებით გაიარა შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო ბრიტანული IOSH-Managing Safely 5.0 სასწავლო კურსი და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატი. აღნიშნული სერთიფიკატი სრულ შესაბამისობაშია შრომითი უსაფრთხოების მოქმედი კანონის მოთხოვნასთან.
- ✓ რეგიონული ნაგავსაყრელების და გადამტვირთავი სადგურების კოორდინატორებმა, რუსთავის ნაგავსაყრელის მენეჯერმა და ინჟინერ-მექანიკოსმა, ასევე შრომის უსაფრთხოების უფროსმა კოორდინატორმა (OHS მენეჯერი) და რეგიონული მართვის დეპარტამენტის

უფროსმა სპეციალისტმა გაიარეს სერტიფიცირებული სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ ჩატარებული, საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესების, სახანძრო უსაფრთხოების წესების, ხანძარსაწინააღმდეგო და პირველადი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი, აღნიშნული სერთიფიკატი სრულ შესაბამისობაშია შრომითი უსაფრთხოების მოქმედი კანონის მოთხოვნასთან.

- ✓ დატრენინგებულმა კოორდინატორებმა მიღებული ცოდნა გაუზიარეს თავიანთ დაქვემდებარებაში არსებულ ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე დასაქმებულ თანამშრომლებს და მათ ადგილზე ჩაუტარეს შესაბამისი ინსტრუქტაჟები
- ✓ შრომითი ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსტრუქციები ადგილზე დაურიგდათ ნაგავსაყრელის და გადამტვირთავი სადგურების თანამშრომლებს და პასუხისმგებელი პირების მიერ ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟები.

ნაგავსაყრელებზე რეგისტრირებული ინციდენტები რეგიონების მიხედვით



2019 წლისთვის და შემდგომი პერიოდისთვის დაგეგმილი ღონისძიებები

ღონისძიება	მდებარეობა
შრომითი უსაფრთხოების სპეციალური სამსახურის შექმნა	
1 დაიგეგმა 2019 წლის ივლისის თვის ბოლომდე, კომპანიის ყველა მოქმედი ობიექტის სადარაჯო ჯიხურის მწერების საწინააღმდეგო ბადეებით და გასაგრილებელი საშუალებებით აღჭურვა;	კომპანიის ყველა ობიექტი, 31 ნაგავსაყრელი და 5 გადამტვირთვი სადგური

2.	გამაფრთხილებელი ნიშნებით აღჭურვა	ყველა მოქმედი ნაგავსაყრელი და ობიექტი
3.	სტუმრებისა და კონტრაქტორი თანამშრომლების მხრიდან შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესებისადმი მორჩილების უზრუნველყოფა	
4.	მოკლე უსაფრთხოების ინსტრუქციების მომზადება სტუმრებისთვის	
5.	იმ პერსონალური დაცვის აღჭურვილობის განახლება რომელსაც ვადა 2019 წელს გასდის (ცეცხლმაქრები, ხელთათმანები, ფეხსაცმელები, პირველი სამედიცინო დახმარების გაწვევის ნაკრები)	
6.	შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გამეორება (ოპერატორისთვის, დამახარისხებელისთვის, სპეციალური ტექნიკის მძღოლისთვის, ელექტრიკოსისთვის)	
7.	ინსტრუქციების შემუშავება ახალი თანამშრომლებისთვის	
8.		
9.	კომპანიის მიერ სამუშაო სივრცეში უბედური და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაციის, მოკვლევის და ანგარიშგების პროცესის შენარჩუნება	
10.	შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტის ორგანიზება კომპანიის მენეჯმენტის მიერ	

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციის პრიორიტეტია, ნაგავსაყრელებზე და გადამტვირთავ სადგურებზე მომუშავე თანამშრომლების შრომის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და მათ კვალიფიკაციაზე მუდმივი ზრუნვა. კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ნარჩენების მართვის ახალი სისტემის ეფექტურად დანერგვას, რაც ნაგავსაყრელების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მაღალი სტანდარტებით მშენებლობას და მართვას გულისხმობს.

შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნა პროექტის „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემა“ ფარგლებში ხდება, რომელსაც PEM Consult (გერმანია), INTECUS GmbH (გერმანია) და შპს „გამა კონსალტინგი“ (საქართველო) ახორციელებენ, გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდის და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.